



თბილისი

25 ივნისი 2018 წ.

ბრძანება № 61-18

პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების წესი

უნივერსიტეტის დებულების მე-6 მუხლის 6.10.6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით რექტორისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში (დებულება განახლებული რედაქციით დამტკიცებული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, 2016 წლის 23 დეკემბრის №03-16 ოქმის დანართი #1),

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის, პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების წესი ამ ბრძანების დანართი №1 შესაბამისად.
2. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის უმოკლეს ვადაში გაცნობა (ც.ხითარიშვილი).
3. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურს ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.sabauni.edu.ge) განთავსება.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი



ვაჟა ვარდიძე



სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი

პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების წესი

დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის

2018 წლის 25 ივნისის №61-18 ბრძანებით

1. ზოგადი პრინციპები

- 1.1 პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების წესი, მოიცავს პროდუქტიულობის შეფასების მიდგომებს, შეფასების კომპონენტებს, კომპონენტის შეფასების წესს და პროდუქტიულობის შეფასების წესს.
- 1.2 უნივერსიტეტში მოქმედებს პროდუქტიულობის შეფასების ორი მიდგომა: რაოდენობრივი შეფასება და კვლევითი პროდუქტის ხარისხი.
- 1.3 კვლევის პროდუქტის ხარისხის ზოგადი პროფილი შედგება სამი ქვეპროფილისაგან (შედეგი, გავლენა, გარემო).
- 1.4 კვლევითი პროდუქტის ხარისხის შეფასებისას უნივერსიტეტში გამოიყენება მხოლოდ შეფასების ბიბლიომეტრული მიდგომა.
- 1.5 ბიბლიომეტრული მეთოდი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ზუსტი მეცნიერებების და მედიცინისათვის არის ტომსონ - როიტერის ISI Web of Science - ის მონაცემები (გამოქვეყნების რაოდენობა და ციტირება).
- 1.6 ბიბლიომეტრული სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში web of science –თან ერთად შესაძლებელია Scopus-ის და google scholar -ის მონაცემების გამოყენებაც

2. პროდუქტიულობის კომპონენტები და ხვედრითი წილი პროდუქტიულობის მაჩვენებელში

- 2.1 პროდუქტიულობის შეფასება ხდება შემდეგი კომპონენტების მიხედვით
 - ა) კვლევის შედეგები (research output) – 50%;
 - ბ) კვლევითი გარემო (Research Environment) – 20%;
 - გ) კვლევაზე მოზიდული სახსრები (Research Income) ადგილობრივი და/ან საერთაშორისო გრანტების თუ პირდაპირი დაკვეთების ფორმით - 5%;
 - დ) კვლევის რეპუტაცია - 5%;
 - ვ) კვლევების რაოდენობა - 20%.
- 2.2 კვლევის შედეგების შეფასება ხდება ბიბლიომეტრული მეთოდით, რისთვისაც გამოიყენება შეფასების ორი კომპონენტი:
 - ა) ციტირების ინდექსი - 60%;

ბ) პუბლიკაციები იმფაქტ-ფაქტორის გამოცემებში - 40%.

2.3 კვლევის რეპუტაციაში იგულისხმება დარგობრივი ექსპერტების გამოკითხვები, რომელთაც უნდა დაასახელონ საკუთარ დარგში ყველაზე საუკეთესო მკვლევარების 20-ეული საანგარიშო პერიოდში.

2.4 კვლევების რაოდენობა (მაქსიმუმ 20%) შედგება შემდეგი ქვეკომპონენტებისგან:

- უნივერსიტეტის სახელით სახელმძღვანელოს ან მონოგრაფიის შემუშავება - 20%
- უნივერსიტეტის სახელით სამეცნიერო ნაშრომის, მონოგრაფიის ან სახელმძღვანელოს თარგმნა - 20%
- უნივერსიტეტის სახელით სამეცნიერო ნაშრომის (პუბლიკაციის) გამოქვეყნება ან კონფერენციაზე მოხსენებით გამოსვლა - 5%
- უნივერსიტეტი სახელით განსახორციელებელი წარმატებული სამეცნიერო საგრანტო პროექტის მომზადება/განხორციელება - 20%
- სხვა (არავეროკავშირის) სამეცნიერო-კვლევით პროექტში მონაწილეობა - 10%
- უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალის სტატიის რეცენზირება - 5%
- უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალის სტატიის რედაქტირება - 5%

2.5 კვლევითი გარემო ასევე შედგება შემდეგი ქვეკომპონენტებისგან:

- კვლევითი გარემოს მიმზიდველობა - საერთაშორისო მაგისტრების რაოდენობა (საერთაშორისოში იგულისხმება შემდეგი ქვეყნები: აშშ, ევროკავშირისა და ევროპის რეგიონი, კანადა, სამხრეთ კორეა და ჰონგკონგი) - 20%
- დაცული სამაგისტრო ნაშრომების რაოდენობა - 5%
- ევროკავშირის სამეცნიერო პროექტები (Marie Curie, FP7 და ა.შ.) - 20%
- საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად წარმოებული მიმდინარე და შესრულებული კვლევები - 15%
- ერთობლივი სამაგისტრო პროგრამები - 20%
- ინოვაცია, ლიცენზია, პატენტები (განსაკუთრებით - ევროპის პატენტების ოფისი - epo) - 20%

3. პროდუქტიულობის გამანგარიშების წესი

3.1 დასაწყისში გაანგარიშდება ეფექტიანობის მაჩვენებლები, რის საფუძველზეც დადგინდება პროდუქტიულობის დონე.

3.2 ეფექტიანობა უნდა გაანგარიშდეს თითოეული კომპონენტისა და ქვეკომპონენტის მიმართ, რისთვისაც გამოიყენება შედარების მეთოდი.

3.3 პირველ საანგარიშო წელს მიღწეული შედეგი ითვლება საბაზისო წლად. ყოველი მომდევნო სასწავლო წლის შედეგი იყოფა საბაზისო წლის შედეგზე, რაც წარმოადგენს მიმდინარე შედეგის ეფექტიანობის დეფლატორს.

3.3.1 კვლევითი გარემოს კომპონენტის სიდიდის დასადგენად, ცალკეული ქვეკომპონენტების შედეგები მრავლდება შესაბამის ხვედრით წილზე და მიღებული შედეგები ჯამდება.

3.3.2 კვლევით შედეგის კომპონენტის სიდიდეს განსაზღვრავს. თითოეული ქვეკომპონენტის მაჩვენებელი ცალ-ცალკე.

3.4 სამიზნე საანგარიშო პერიოდის შედეგისა და წინა საანგარიშო პერიოდის შედეგის ეფექტიანობის დეფლატორის ურთიერთშედარებით დგინდება ეფექტიანობის (გაუმჯობესების ან გაუარესების მაჩვენებელი) პროცენტული მაჩვენებელი.

3.5 პროდუქტიულობის დონის დასადგენად, გამოითვლება პროდუქტიულობის ინდექსი თითოეული ძირითადი კომპონენტის მიმართ და იანგარიშება შემდეგი წესით: კომპონენტის ეფექტიანობის მაჩვენებელი მრავლდება ხვედრითი წილის აბსოლუტურ მაჩვენებელზე. მაგალითად, თუ კვლევების რაოდენობის ეფექტიანობა მიმდინარე საანგარიშო პერიოდში არის 5%, პროდუქტიულობის ინდექსი ამ კომპონენტის მიმართ იქნება $0.05 \cdot 2 = 0.1$.

3.6 კვლევის შედეგის პროდუქტიულობის ინდექსი იანგარიშება ქვეკომპონენტების პროდუქტიულობის ინდექსების დაჯამებით. მაგალითად, თუ ციტირების ეფექტიანობა არის 10%, ხოლო იმფაქტ ფაქტორში პუბლიკაციების ეფექტიანობა არის 20%, კვლევის შედეგის პროდუქტიულობის ინდექსი იქნება $- 0.1 \cdot 6 + 0.2 \cdot 4 = 1.4$.

3.7 პერსონალის პროდუქტიულობის მაჩვენებელი არის პროდუქტიულობის ინდექსების ჯამი ყველა კომპონენტის მიხედვით.

3.8 პროდუქტიულობის დონის გაანგარიშებისთვის, პირველ საანგარიშო წელს მიღწეული შედეგი გამოიყენება საბაზისო წლად. ყოველი მომდევნო სასწავლო წლის შედეგი იყოფა საბაზისო წლის შედეგზე, რაც წარმოადგენს მიმდინარე შედეგის პროდუქტიულობის დეფლატორს.

3.9. სამიზნე საანგარიშო პერიოდის შედეგისა და წინა საანგარიშო პერიოდის შედეგის პროდუქტიულობის დეფლატორის ურთიერთშედარებით დგინდება პროდუქტიულობის (გაუმჯობესების ან გაუარესების) პროცენტული დონე.

ცხრილი 1: კომპონენტის ეფექტიანობის მაჩვენებელი						
N	შეფასების კომპონენტი	ხვედრითი იწილი	წელი საბაზისო	მომდევნ ო წელი	დეფლატ ორი	ეფექტიან ობა
A	B	C	D	E	F	G
1	ციტირების ინდექსი	0.3			$F=E/D$	$(F-1)/F \cdot 100$
2	პუბლიკაციები იმფაქტ-ფაქტორის გამოცემებში	0.2				
3	კვლევაზე მოზიდული სახსრები	0.05				
4	კვლევის რეპუტაცია	0.05				
5	კვლევების რაოდენობა	0.2				
6	კვლევითი გარემო	0.2				
6.1	კვლევითი გარემოს მიმზიდველობა	0.04				
6.2	დაცული სამაგისტრო ნაშრომების რაოდენობა	0.01				
6.3	ევროკავშირის სამეცნიერო პროექტები	0.04				
6.4	საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად წარმოებული მიმდინარე და შესრულებული კვლევები	0.03				
6.5	ერთობლივი სამაგისტრო პროგრამები	0.04				

6.6	ინოვაცია, ლიცენზია, პატენტები	0.04				
შენიშვნა საბაზისო წლის დეფლატორი არის 1-ის ტოლი						

ცხრილი 2: პერსონალის პროდუქტიულობის დონე				
N	შეფასების კომპონენტი	წილი ხვედრითი აია	მაჩვენებელი ავანსირებული	პროდუქტიულობის ინდექსი
A	B	C	G	H
1	კვლევის შედეგი			H1=H1.1 + H1.2
1.1	ციტირების ინდექსი	0.3		H1.1=C1.1 x G1.1
1.2	პუბლიკაციები იმფაქტ-ფაქტორის გამოცემებში	0.2		H1.2=C1.2 x G1.2
2	კვლევაზე მოზიდული სახსრები	0.05		
3	კვლევის რეპუტაცია	0.05		
4	კვლევების რაოდენობა	0.2		
5	კვლევითი გარემო	0.2		
5.1	კვლევითი გარემოს მიმზიდველობა	0.04		
5.2	დაცული სამაგისტრო ნაშრომების რაოდენობა	0.01		
5.3	ევროკავშირის სამეცნიერო პროექტები	0.04		
5.4	საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად წარმოებული მიმდინარე და შესრულებული კვლევები	0.03		
5.5	ერთობლივი სამაგისტრო პროგრამები	0.04		
პროდუქტიულობის მაჩვენებელი: H=H1+H2+H3+H4+H5				
პროდუქტიულობის დონე $\frac{H_{\text{მიმდინარე}} - H_{\text{საბაზისო}}}{H_{\text{მიმდინარე}}} \times 100\%$				